ხიდი ციყვებისთვის



როგორც იცი, ხიდს ადამიანი, ძირითადად, მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად აგებს. თუმცა ზოგ ქვეყანაში ხიდი ციყვებსაც კი გაუკეთეს. წაიკითხე ტექსტი და გაიგე, რა დანიშნულება აქვს მას.

ციყვები პატარა **უწყინარი** არსებები არიან. ისინი უფრო მეტად ტყეებში ბინადრობენ. თუმცა არც დიდ ქალაქებზე ამბობენ უარს. უყვართ სიმწვანე, ამიტომ ირჩევენ ქალაქის სკვერებსა და პარკებს. იქ კარგად გრძნობენ თავს. არც ადამიანის ეშინიათ და არც მანქანის ხმაურის. თუმცა საფრთხე აქაც ემუქრებათ. საკვების ძებნაში ისინი ერთი პარკიდან მეორეში ინაცვლებენ ხოლმე. ამ დროს მანქანებით სავსე ქუჩები უნდა გადაკვეთონ. სწორედ მაშინ ხდება უბედური შემთხვევა. ციყვებმა ხომ ქუჩაში მოძრაობის წესები არ იციან!

ბევრ ქვეყანაში ეს პრობლემა ადვილად **მოგვარდა**. ციყვებს ხიდები გაუბეს ჰაერში. პირველი ასეთი ხიდი 1963 წელს გააკეთეს ამერიკის ქალაქ ლონგვიუში. ხიდი 18 მეტრი სიგრძის სახანძრო მილი იყო. მსგავსი ხიდები მალევე გაჭიმეს ბელგიისა და საფრანგეთის ქალაქებში. უკვე სამიოდე წელია, რაც თოკის ხიდი არსებობს ბერლინშიც.

ბერლინი გერმანიის დედაქალაქია. იქ ძალიან ბევრი სიმწვანეა. ამიტომ სკვერებსა და პარკებში ნებისმიერ დროს შეიძლება შენიშნო ციყვი, კვერნა, მელია თუ ზღარბი. ქუჩებში მოძრაობამ მათაც იგივე საფრთხე შეუქმნა, რაც სხვა ქალაქებში. ჰოდა, მეცნიერმა ჰენრიკ ცვადლომ ხიდის გაკეთება გადაწყვიტა. მას სხვებიც დაეხმარნენ. მასალად **გამძლე** თოკი შეარჩიეს. ხეზე მცოცავებმა თოკი გადაჭიმეს და ხიდის ორივე მხარეს თხილით სავსე კალათები დაამაგრეს. ასე მიიტყუეს ციყვები ხიდთან. მათაც ამ ხერხით უფრო სწრაფად ისწავლეს ხიდით სარგებლობა.

ახლა ციყვები თოკის ხიდებით გადადიან პარკიდან პარკში. ადამიანებიც კმაყოფილნი არიან. მათ ხომ **იოლად** შეძლეს ამ პატარა არსებების ერთი პრობლემის მოგვარება.

შენც ხომ არ გაგიჩნდა ასეთი ხიდის აგების სურვილი? რატომ?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რით იზიდავს ზოგიერთი ქალაქი ციყვებს?

ა) ბევრი მანქანით.

ბ) ბევრი სიმწვანით.

გ) ბევრი ხიდით.

2 რა უქმნის პრობლემებს ქალაქში მობინადრე ციყვებს?

ა) ადამიანების განსაკუთრებული ყურადღება მათ მიმართ.

ბ) მანქანებით გადატვირთულ ქუჩებზე გადაადგილება.

გ) ქალაქის ქუჩებში სწრაფად მოძრავი მანქანების ხმაური.

3 ტექსტის მიხედვით, თოკის ხიდის გაბმის შემდეგ:

ა) ბევრი ციყვი დაბინავდა ბერლინის სკვერებში.

ბ) შემცირდა ციყვების დაღუპვის შემთხვევები.

გ) ხიდზე გადასვლა ციყვებისგან კვერნებმაც ისწავლეს.

4 რის შესახებ *<u>არ არის</u>* საუბარი ტექსტში?

ა) რატომ გადადიან ციყვები ერთი სკვერიდან მეორეში.

ბ) რატომ გამოიყენეს ციყვების ხიდისთვის სახანძრო მილი.

გ) რატომ გახდა საჭირო ციყვებისთვის თოკის ხიდების გაბმა.

5 მოცემული ტექსტის <u>ძირითადი</u> მიზანია გაგვაცნოს:

ა) ვისი მონდომებით გადაჭიმეს თოკის ხიდი ბერლინში.

ბ) რატომ დაამაგრეს თოკის ხიდთან თხილით სავსე კალათები.

გ) როგორ აგვარებენ ციყვების პრობლემას დიდ ქალაქებში.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ციყვები პატარა **უწყინარი** არსებები არიან.

   ა) უგუნური. ბ) უვნებელი. გ) უსუსური.

2. ბევრ ქვეყანაში ეს პრობლემა **მოგვარდა.**

   ა) დარჩა. ბ) მოწესრიგდა. გ) შეიცვალა.

3. ადამიანებმა **იოლად** მოაგვარეს პრობლემა.

   ა) ადვილად. ბ) მოულოდნელად. გ) უცნაურად.

4. მასალად **გამძლე** თოკი შეარჩიეს.

   ა) გრძელი. ბ) მაგარი. გ) წვრილი.

2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) ადვილად – იოლად. ბ) მეტად – ნაკლებად. გ) სწრაფად – ჩქარა.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. პარკებში ბევრი ციყვი ----------. ***(ბინადრობს / ბინადრობენ)***

2. ციყვებს სიმწვანე უყვართ, ---------- ისინი ქალაქის სკვერებს ეტანებიან. ***(ამიტომ / ამისთვის)***

3. ციყვები ერთი ---------- მეორეში ინაცვლებენ. ***(პარკიდან / პარკისაგან)***

2 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. ბერლინი (გერმანია) ---------- დედაქალაქია.

2. მსგავსი ხიდები გაჩნდა (ბელგია) ---------- სკვერებში.

3. ბევრი (ქვეყანა) ---------- ქალაქებში გააბეს თოკის ხიდები.

გრამატიკა

3 **იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.**

	[X] ***არსებებია.***	[ ] ***არსებები არიან.***
1.	[ ] ორივე მხარე.	[ ] ორივე მხარეები.
2.	[ ] სწრაფათ.	[ ] სწრაფად.
3.	[ ] მზგავსი.	[ ] მსგავსი.

წერა

წარმოიდგინე, რომ ციყვები თავად ჰყვებიან, რა პრობლემები შეექმნათ ქალაქში და როგორ დაეხმარნენ მათ ადამიანები.

ტექსტში მოცემული ფაქტების მიხედვით დაწერე ერთ-ერთი ციყვის ნაამბობი.
გააფორმე შენი ნაწერი ნახატით.

შეგიძლია დაიწყო ასე:

ცოტა ხნის წინ მე და ჩემი ახლობლები ბერლინს ვეწვიეთ. მოგვეწონა ქალაქის სიმწვანე

და ერთ-ერთ სკვერში დავბინავდით... ----------